

შპს „გარდნილჰესების კასკადი“

ტურბინის საპობი მეთი ტი-30-ის შესყიდვა
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

სატენდერო
დოკუმენტაცია

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. პროექტის მიერ სატენდერო წინადადებასთან ერთად ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასაგვირთი მონაცემები:

- რეკვიზიტები (დანართი #1);
- ფასების ცხრილი (დანართი #2);
- ინფორმაცია ანალოგიური მიწოდების განხორციელების შესახებ (დანართი #3);
- ინფორმაცია საქონლის მოწოდების ვადები და პირობები შესახებ;
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ.

2. შესყიდვების ობიექტის ტექნიკური პარამეტრები:

3.1. ტურბინის გეტი TII-30-ის - 5 000 (ხუთი ათასი) ლიტრი

ტურბინის გეტი TII-30-ის ფუნქციონალური მახასიათებელი უნდა აკმაყოფილებდეს ГОСТ-9972-74 მოთხოვნებს

№	მახასიათებელი სიდიდე	სტანდარტით ნორმა
1	კინემატიკური სიბლანტე 40 ⁰ C -ზე	41,4-50,6
2	სიბლანტის ინდექსი	≥ 95
3	მქავური რიცხვი	≤ 0,5
4	სტაბილურობა დაქანგვის მიმართ: ა) მქავური რიცხვი %; ბ) გახსნილი შლამი	≤ 0,5 ≤ 0,01
5	დეემულსაციის რიცხვი	≤ 210
6	ფენოლის შემცველობა	არ არის
7	კოროზია ფოლადის ღეროებზე	არ არის
8	ფერი	≤ 3,5
9	ფეთქის ტემპერატურა ღია ტიგელში ⁰ C	≥ 190
10	გაძგიფვის ტემპერატურა ⁰ C არაუმეტეს	-10
11	მექანიკური მინარევების შემცველობა	არ არის
12	წყლის შემცველობა	არ არის
13	წყალში ხსნადი მქავეები და ტუტეები	არ არის
14	სიმკვრივე 20 ⁰ C -ზე კგ/მ ³	≤ 895

ტურბინის გეტი TII-30-ის ჩანაცვლება სხვა ანალოგიური გეთით შეუძლებელია, რადგან აღნიშნული გეტი განკუთვნილია უკვე მუშაობაში არსებულ გეთზე დასამატებლად.

3. ანგარიშსწორების პირობები:

3,1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასში ასახულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა სახის გადასახადი დღგ-ს ჩათვლით;

3,2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში – ლარებში.

3.3 ანგარიშსწორება:

3.3.1 წინასწარი ანგარიშსწორება არ განიხილება.

3.3.2 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათ) საბანკო დღეში.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები:

4.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ნებისმიერი ტიპის არანაკლებ 200 ლიტრიანი დალუქული კასრებით.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. ზუგდიდი.

4.3 ქ. ზუგდიდში მიმწოდებელმა საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს საქონლის გადატვირთვა შემსყიდველის საგრანსპორტო საშუალებებზე.

4.4 საქონლის მოწოდების ვადაა: 30 კალენდარულ დღე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულს გაფორმების დღიდან.

4.5 საქონელს თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

4.5.1 საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი;

4.5.2 საქართველოს ნავთობპროდუქტების ტესტირების ლაბორატორიის მიერ გაცემული მეთის ქიმიური ანალიზის ჩაგარების ოქმი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით რომელიც უნდა დართოს მიღება - ჩაბარების აქტს;

5. მიღება-ჩაბარების წესი:

5.1 საქონლის მოწოდებაზე მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება მისი სრულ ოდენობით მოწოდების შემდეგ და ამით საქონლის მოწოდება ჩაითვლება დასრულდეს.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია შპს „ვარდნილქვისების კასკადი“-ს მთავარი ინჟინერის მოადგილე – ზ. ზ. აქაჩია.

6. ხარისხი

6.1 მოწოდებული საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტით განსაზღვრულ ტექნიკურ მონაცემებს, რომელიც თან ერთვის ტექნიკურ დოკუმენტაციას.

მიმწოდებელი ვადადებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი იქნება წარმოდგენილი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდე.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

შოთა სანაძე: 577 73 28 75

რომან ჭანტუ რია: 595 41 85 85

Roma.tchanturia@gmail.com

დანართი №1

რეკვიზიტები:

- მიმწოდებლის იურიდიული ფორმა და დასახელება;
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- მიმწოდებლის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;
- მიმწოდებლის საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;
- ელექტრონული მისამართი;
- ბანკის დასახელება და კოდი;
- ანგარიშსწორების ანგარიში;
- საინდენფიკაციო კოდი

ხელმოწერა-----

ბ.ა

დანართი №2

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	წარმოშობის ქვეყანა

დანართი №3

ინფორმაცია ანალოგიური მიწოდების განხორციელების შესახებ

№	საქონლის დასახელება	შემსყიდველი	ღირებულება	მიწოდების პერიოდი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დამუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეკენდენტის საგენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი

2016 წ.

ერთის მხრივ შპს „ვარდნილქსების კასკადი“ (შემდგომში შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორი შოთა სანაძეს სახით და მეორეს მხრივ,----- (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეკენდენტის (მისი დასახელება) საგენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ გერმინთა განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში-„ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „ღლე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. “ტექნიკური დავალება” – საგენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

- 2.1. შესყიდვის ობიექტია:
 - გურბინის საპოხი ზეთი ТП-30 - 5 000 (ხუთი ათასი) ლიტრი .

2.2 კლასიფიკატორის კოდი: 09211300

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს _____
_____ ლარს ღლე-ს ჩათვლით.
- 3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები.

- 4.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ნებისმიერი ტიპის არანაკლებ 200 ლიტრიანი დალუქული კასრებით.
- 4.2 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. ზუგდიდი.
- 4.3 ქ. ზუგდიდში მიმწოდებელმა საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს საქონლის გადატვირთვა შემსყიდველის საგრანსპორტო საშუალებებზე.
- 4.4 საქონელთან ერთად „მიმწოდებელმა“ უნდა მიაწოდოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია:
- ა) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასისა და საერთო ღირებულების მითითებით.
 - ბ) საქარხნო პასპორტთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ნავთობპროდუქტების ტესტირების ლაბორატორიის მიერ გაცემული ზეთის ქიმიური ანალიზის ჩატარების ოქმი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული სახით
- 4.5 საქონლის მიწოდების საბოლოო ვალა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდალური დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. მოწოდებული საქონლის მიღება - ჩაბარება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
- 5.2. მიმწოდებელმა მიღება ჩაბარების აქტთან ერთად უნდა წარმოადგინოს ნავთობპროდუქტების ტესტირების ლაბორატორიის მიერ გაცემული ზეთის ქიმიური ანალიზის ჩატარების ოქმი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული სახით ხანდაზმულობით არა უმეტეს ორი თვისა.

6. საქონლის ხარისხი და გარანტია

- 6.1.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონელის ხარისხი სრულად შეესაბამება ხარისხის სერთიფიკატის მონაცემებს.
- 6.1.2 ადგილზე ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგებისა და საქონლის ხარისხის განმსაზღვრელ სერთიფიკატში (საქარხნო და ნავთობპროდუქტების ლაბორატორიის მონაცემები) ნაჩვენები მონაცემების არათანხვედრობის შემთხვევაში (ძირითადი მაჩვენებლების 20%-ი და უფრო მეტი ოდენობით) „მიმწოდებელმა“ უნდა დაიბრუნოს საქონელი უკან ან მოახდინოს საქონლის ახლით შეცვლა 10 დღის ვადაში, დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

7. ანგარიშსწორების ფორმა, ვალა

- 7.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა გადასახადის გათვალისწინებით, მათ შორის დღგ-ს;
- 7.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში – ლარებში.
- 7.3 ანგარიშსწორება:
- 7.3.1 წინასწარი ანგარიშსწორება არ განიხილება.
 - 7.3.2 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათ) საბანკო დღეში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იბრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- 8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 8.5 მხარე ვალდებულია 12.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეაგყობინოს მეორე მხარეს.
- 8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის - შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- განახორციელოს კონტროლი და შეამოწმოს მიწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- უარი თქვას უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საქონლის - მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

9.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის - ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- გააფრთხილოს შემსყიდველი საქონლის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
- ქ. ზუგდიდში საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს საქონლის გადაგვირთვა შემსყიდველის საგრანსპორტო საშუალებებზე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას

- 10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 10.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
- 10.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ბიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიაღწა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
- 11.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ბიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.
- 11.5 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

- 11.6 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.02 პროცენტის ოდენობით.
- 11.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 15 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11. ფორს-მაჟორი

- 11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო გემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით გარემოებათა დასარულების შემდეგ.
- 11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
- 11.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 12.1 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს:
შპს „ვარდნილჭესების ვასკადი“-ს მთავარი ინჟინერის მოადგილე - ზ უ რაზ ზ აქარაია.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

- 13.1 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის ----- ჩათვლით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

მიმწოდებელი

შპს „ვარდნილჭესების ვასკადი“
იუ რ. მისამართი ე. თბილისი,
ა. პოლიტოვსკაიას №8, ფაქტ. მდებარ.
გალის რ-ნი, დას. რეჩხი
სს „საქართველოს ბანკი“
ს/კ 251716362 მ/კ BAGAGE22
ა/ა GE77BG000000333767500
დირექტორი
_____ მ. სანაძე